

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

ქეთევან სვინტრაძე

Ketevan Svintradze

ხელშეკრულების მხარეთა უფლებების დაცვა

Protection of the Rights of the contract parties

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

Educational programme: Law

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Law

reziume

Tbilisi

2025

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან სვინტრაძე

ხელშეკრულების მხარეთა უფლებების დაცვა

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2025

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
შალვა ქურდაძე,
სამართლის დოქტორი,
პროფესორი

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ
რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში, თბილისი, ირინა ენუქიძის №3
(აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

ს ა რ ზ ე ვ ი

შესავალი.....	4
საკვლევი პრობლემატიკა და თემის აქტუალობა	5
კვლევის მიზანია :.....	7
კვლევის ამოცანა :	7
მეცნიერული ჰიპოთეზა :	8
ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი:.....	9
მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა:.....	11
კვლევის შედეგები:.....	13
ნაშრომის მეცნიერული სიახლე:.....	13
დასკვნა.....	15
INTRODUCTION.....	33
The Problematics to be Researched and the Relevance of the Research:	33
Aims of the Research:.....	34
Tasks of the Research:	35
Scientific Hypothesis:.....	36
Review of Literature and the Theoretical-Practical Context:.....	36
Methodology and Description of the Research:	37
Research Outcomes:	38
Scientific Novelty of the Thesis:	39
Conclusions and Recommendations.....	39

შესავალი

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თუ გავითვალისწინებთ მოქმედ საკანონმდებლო აქტებს, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ურთიერთობებს არეგულირებენ, ნაკლებად თუ ვიპოვით უფრო მნიშვნელოვან და ამასთანავე, რთულ პრობლემას, როგორსაც წარმოადგენს სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვა და ასევე აღნიშნული დაცვის განხორციელების პირობები. სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა სამართლებრივი უფლების დაცვა წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანსა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისათვის საჭირო ფაქტორს. სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვის ფორმა კი წარმოადგენს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კატეგორიას. უფლებათა სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენებით შესაძლებელია ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სტატუსის და შესაბამისად კუთვნილი უფლებების დაცვა, ამავდროულად ხდება სამართალურთიერთობაში სასამართლოს ჩარევის ფარგლების განსაზღვრა. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლების შეგვიძლია შევაფასოთ არსებული პრობლემები და გამოწვევები, რაც მხარეებს სახელშეკრულებო ურთიერთობაში წარმოეშობათ. ხელშეკრულების მხარეთა მიერ უფლებისა და ინტერესების დაცვა თანაბრად უნდა იყოს შესაძლებელი საკანონმდებლო ნორმებით, რაც პრაქტიკაში სათანადოდ ვერ ხორციელდება. აქედან გამომდინარე, უნდა შეფასდეს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები და განისაზღვროს სამოქალაქო უფლებათა დაცვის იურიდიული გარანტიები.

საკვლევი პრობლემატიკა და თემის აქტუალობა

სამოქალაქო უფლებათა დაცვის მექანიზმის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების გარეშე, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო ვერ ჩამოყალიბდება, ასევე ვერ იქნება უზრუნველყოფილი სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანასწორობა და მათი კერძო ავტონომია (თავისუფლება). შესაბამისად, ნაშრომში გამოკვლეულ ხელშეკრულებათა კონტროლის პრობლემა სამოქალაქო უფლებათა დაცვის მექანიზმების გაძლიერების გზით და აღნიშნულ საკითხზე თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების ჩამოყალიბება დიდ აქტუალობას იძენს. ხელშეკრულების მხარეთა უფლებების დაცვის პრობლემის კვლევის აუცილებლობას ისიც განაპირობებს, რომ დაიხვეწოს სამოქალაქო უფლებათა განხორციელების მექანიზმები და მისი მომწესრიგებელი სამოქალაქო კანონმდებლობა, რითაც, საბოლოო ჯამში, მოხდება სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვის პრაქტიკის სრულყოფა. მნიშვნელოვანია უფლებათა დაცვისათვის საჭირო ახალი საშუალებების შემუშავება, რომლებიც გააფართოვებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ უფლებების განხორციელებისა და დაცვის შესაძლებლობას.

სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვის ფორმათა და საშუალებათა სისტემის საკანონმდებლო დონეზე სრულყოფა, მეცნიერულად დასაბუთებულ მოსაზრებებს უნდა ეფუძნებოდეს.

სადისერტაციო ნაშრომი შეეხება სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილე პირთა უფლებების დაცვის საკითხს და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას. კვლევის აქტუალობას განაპირობებს სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმის სახეთა მრავალფეროვნება. უფლებათა სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენებით შესაძლებელია ფიზიკურ და იურიდიულ პირთა

უფლებების დაცვა, მათი გამოყენებით განისაზღვრება ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის იმპერატიული ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე სასამართლოს მიერ კონტროლის ფარგლები.

წარმოდგენილ ნაშრომში, სისტემური ანალიზის საფუძველზე, გამოკვლეულია საქართველოს კანონმდებლობაში არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე უფლების დაცვის საშუალებები და უფლების დაცვის თითოეულ საშუალებასთან დაკავშირებით გამოკვეთილი და შეფასებულია არსებული პრობლემატიკა, გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკა. ყოველივე ამის საფუძველზე კი, ჩამოყალიბებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

პრობლემათა ანალიზისათვის და ანალიზის საფუძველზე დისერტაციაში ჩამოყალიბებული დასკვნებისა და რეკომენდაციების დასაბუთებისათვის, გამოყენებულია საკვლევი საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომები. კერძოდ, საკუთარი მეცნიერული მიდგომებისა და დასკვნების ჩამოყალიბებისათვის, გამოყენებული იქნა ნაშრომი, რომელშიც ავტორთა მიერ დამუშავებულია ისეთი საკითხები, რომლებიც დაცვის საშუალებებს შეეხება. არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ იმაზე, რომ გამოქვეყნებულ (ამ დისერტაციაში გამოყენებულ) ნაშრომებში, როგორც წესი, განხილულია პრობლემის მხოლოდ ცალკეული მხარე. ხელშეკრულების მხარეთა უფლებების დაცვის ჭრილში უფლების დაცვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა მონოგრაფიულად და კომპლექსურად გამოკვლეული არ არის.

სადისერტაციო თემის აქტუალობას განაპირობებს სამართლებრივი დაცვის მექანიზმში სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვის საკითხის მნიშვნელობა. უფლების დაცვა თავის მხრივ, წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანს

და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისათვის საჭირო ფაქტორს. სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვის ფორმა წარმოადგენს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კატეგორიას, ასევე მნიშვნელოვან კატეგორიას სამართლის სხვა დარგებისთვისაც. შესაბამისად, იგი სამართლის ზოგად თეორიაშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. უფლებათა სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენებით შესაძლებელია დაცულია ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სტატუსის დაცვა, ურთიერთობათა მონაწილეების საქმიანობაში სასამართლოს ჩარევის ფარგლების განსაზღვრა. ეს ვლინდება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულაციაში, სამოქალაქო უფლებათა დაცვის იურიდიულ გარანტიების დადგენაში.

კვლევის მიზანია :

- ✓ მეცნიერულად განისაზღვროს სამოქალაქო უფლებათა არსი, უფლების დაცვის ფორმა და საშუალება, გაფართოვდეს უფლებათა სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობა, სრულყოფილი გახდეს უფლებათა სამართლებრივი დაცვა;
- ✓ გაანალიზდეს არსებული საკანონმდებლო ნორმები სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარეების უფლებათა დაცვის საშუალებათა ჭრილში, წარმოჩნდეს არსებული საკანონმდებლო რეგულაციების დადებითი და უარყოფითი ასპექტები;
- ✓ შემუშავდეს ხარვეზების აღმოფხვრის მეთოდები და წამოყენებული იქნას წინადადებები ნორმათა სრულყოფისთვის და განისაზღვროს, სასამართლო პრაქტიკის რომელი მიდწევების გამოყენება იქნება უფრო ეფექტიანი უფლებათა დაცვის სრულყოფის საკითხში.

კვლევის ამოცანა :

- ✓ ხელშეკრულების მხარეთა სამოქალაქო უფლების დაცვის საშუალების არსი და მისი გამოყენების საფუძვლები;

- ✓ უფლების დაცვის არსი;
- ✓ უფლების დაცვის ფორმის არსი, სამოქალაქო უფლებათა დაცვის საშუალებათა და ფორმათა ურთიერთკავშირი; უფლების დაცვის ფორმათა კლასიფიკაცია, მათი მიზანი;
- ✓ უფლების სასამართლოს წესით და ასევე არასასამართლო წესით დაცვის ფორმები და შესაბამისად, მათ ფარგლებში გამოსაყენებელი საშუალებანი;
- ✓ შემუშავდეს რეკომენდაციები და წინადადებები სამოქალაქო უფლებათა ეფექტიანი დაცვისათვის.

მეცნიერული ჰიპოთეზა :

- იმის მიუხედავად, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მიდგომას ყველა სუბიექტისათვის, საკანონმდებლო დონეზე ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი მისი სრული განხორციელება. მხარეთა თანასწორობის პრინციპის შესაბამისად, დაცვის საშუალებები თანაბრად უნდა აბალანსებდეს, როგორც კრედიტორისა და მოვალის, ასევე იმ მესამე პირების უფლებებს, რომელთა სასარგებლოდაც არის დადებული ხელშეკრულება;
- საკანონმდებლო ნორმები მთელ რიგ ხარვეზებს შეიცავს და არ უზრუნველყოფს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობის პრინციპის სრულ განხორციელებას უფლებათა დაცვის საშუალებების ჭრილობში;
- საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს ნორმას, რომელიც მიუთითებდა უფლების დაცვის საშუალებათა ჩამონათვალზე;
- უფლებათა და ინტერესთა დაცვის საშუალებები არ შეიძლება რაიმე სახის ჩარჩოში მოექცეს, რადგან სამოქალაქო ბრუნვა ხელშეკრულების თავისუფლების განხორციელების საფუძველზე, შესაძლებლობას იძლევა, რომ გამოყენებულ იქნას უფლებათა დაცვის რამდენიმე საშუალება ერთად. თუმცა ხარვეზს შეიცავს როგორც მრავალი საკანონმდებლო დანაწესი, რომ-

ლებიც ითვალისწინებს როგორც უფლების დაცვის საშუალებებსა და მექანიზმებს, ისე სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკასაც.

- სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალე უმეტეს შემთხვევაში წარმოჩინდება როგორც ხელშეკრულების „სუსტი მხარე“, რაზეც საკანონმდებლო ნორმებთან ერთად, სასამართლოში მტკიცების ტვირთის განაწილებაც მეტყველებს; 6. ხარვეზული ნორმების შესავსებად და სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარეთა დაცვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კეთილსინდისიერების პრინციპს. სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული პრინციპი ჯეროვნად არ არის გამოყენებული, რაც განპირობებულია იმით, რომ ხშირ შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკაში იგი მიჩნეულია არა მხარეთა ინტერესების დაბალანსების მექანიზმად და მოთხოვნის საფუძვლად, არამედ დეკლარაციული ხასიათის ნორმად, ან მხოლოდ ზნეობრივ მოთხოვნად, რაც განაპირობებს აღნიშნულ პრობლემაზე სწორი ხედვის ჩამოყალიბების აუცილებლობას. კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეთა ინტერესების სამართლიანი დაბალანსების ქვაკუთხედი, ამიტომ იგი ეფექტიანად უნდა გამოიყენებოდეს სასამართლო პრაქტიკის მიერ, როგორც მოთხოვნის საფუძველი. შესაბამისად, დაუშვებელია მისი მიჩნევა მარტოოდენ დეკლარაციულ ნორმად, ან ზნეობრივ მოთხოვნად.

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი:

სადისერტაციო ნაშრომის დასაბუთებისთვის გამოყენებულია მეცნიერთა იურიდიული ხასიათის შრომები და პუბლიკაციები, რომლებიც ეხება კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საკუთარი მეცნიერული მიდგომებისა და დასკვნების ჩამოყალიბებისათვის, რომელიც წარმოადგენს დისერტაციის თემის

კონცეფციას, გამოყენებულ იქნა სხვადასხვა შრომები, რომლებშიც ავტორთა მიერ აქტიურადაა დამუშავებული ისეთი საკითხები, რომლებიც დაცვის საშუალებებს შეეხება. არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ იმაზე, რომ გამოქვეყნებულ (სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულ) ნაშრომებში განხილულია, როგორც წესი, პრობლემის მხოლოდ ცალკეული მხარე. ამიტომ, ფაქტობრივად, არაა სისტემურად გადაწყვეტილი და დამუშავებული უფლებათა დაცვის საშუალებებთან დაკავშირებული პრობლემატიკა. რაც შეეხება სპეციალურ კვლევებს, რომლებიც მიმართულია ამ პრობლემათა კომპლექსური შესწავლისკენ, ამ დრომდე იურიდიულ ლიტერატურაში მინიმალურადაა წარმოდგენილი. კვლევის ემპირიულ ბაზას წარმოადგენს მოქმედი და ძალადაკარგული ნორმატიული აქტები, საერთაშორისო სამართლის აქტები, გამოქვეყნებული სამეცნიერო გამოცემები, თეორიული, ნორმატიული, სოციოლოგიური და სხვა წყაროები. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ერთიანობაში გახდა ის ინფორმაციული ბაზა, რომელიც საშუალებას იძლევა სამეცნიერო დასაბუთებისა და სადისერტაციო ნაშრომში ფორმულირებული მოსაზრებების სანდოობისთვის. სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებული და კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნების დასაბუთებისთვის შესწავლილია სხვადასხვა პუბლიკაცია, როგორც ქართული, ისე რუსული და გერმანული იურიდიული ლიტერატურიდან. სახელდობრ: ავტორთა კოლექტივის მიერ შემუშავებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001; ზ.ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ლ. სვანაძე, ლ. ჯანაშია, ი.რობაქიძე, სახელმეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ. 2014, შ.ქურდაძე, ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2015, დ.სუხიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბილისი 2016, და ა.შ. М.Н.Брагинский, В.В. Витрянский. *договорное право, книга первая, Статут*. Москва 2009, . Е. А. Суханов. *Гражданское право: Т. 1. Учеб.* / Отв. Ред М., 2002. Е.А Суханов, *Гражданский кодекс*

Российской Федерации. Комментарий части первой, "Спарк". М. , 1995 და სხვ.

კვლევა სხვა მეთოდებთან ერთად განხორციელდა შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით, სახელდობრ გაანალიზებულია - გერმანული დოქტრინა, კანონმდებლობა კერძოდ, B.Walker, Allgemeines Schuldrecht, 32. Auflage, C.H. Verlag Beck, München, 2007, M.Müller-Michaelis, R.Wissbar, Kursbuch Recht. Das umfassende juristische Handbuch für den Alltag. München: Südwest, 1997 Summers, Heinrichs H. //Palandt, Op.cit S. 392 H.Heinrichs , Münchener Kommentar Bürgerliches Gesetzbuch, Band2, Schuldrecht Allgemeiner teil.3.Aufl., C.H. Verlag Beck,1994, 14. Brox H. Allgemeines Schuldrecht - Grundrisse des Rechts, München, G.H. Beck, 1996.

მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა:

კვლევისას გამოყენებულია ძირითადად ზოგადი და კერძო სამეცნიერო კვლევის მეთოდები (აბსტრაქტიზების, ანალიზის, სინთეზის, განზოგადების, კლასიფიკაციის, ინდუქციის, დედუქციის, განმარტების, სისტემურ-სტრუქტურული, შედარებით-სამართლებრივი, ისტორიზმის).

პირთა უფლებების მაღალ დონეზე დაცვა, როგორც წესი, სამართლებრივ სახელმწიფოშია უზრუნველყოფილი, ვინაიდან ამგვარ სახელმწიფოში მოქმედებს იურიდიულად და სოციალურად სამართლიანი კანონები. შესაბამისად, გარკვეული დოზით აუცილებელი გახდა, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის ჩამოყალიბების ისტორიის კვლევა. თემაზე მუშაობისას აღნიშნულს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რამეთუ სწორედ სამართლებრივ სახელმწიფოშია უპირველესი ადამიანის სამართლებრივი დაცვა.

შედარებითი ანალიზის შერჩევისთვის გამოყენებულია იმ სახელმწიფოთა კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომლებსაც ხელშეკრულების მხარეთა უფლებების დაცვის საშუალებებთან დაკავშირებით სათანადო ტრადიციები და გამოცდილება აქვთ.

კვლევის ისტორიული მეთოდი გამოყენებულია, როგორც უფლების დაცვის კატეგორიასთან დაკავშირებით, ასევე, უფლების დაცვის საშუალებებთან მიმართებაშიც. ნაშრომში მოცემულია რომის სამართლიდან არსებული პირველ საწყისები, ასევე სხვადასხვა ეტაპზე ჩამოყალიბებული და გავრცელებული დოქტრინური მოსაზრებები. ნაშრომში წარმოჩნდა უფლების დაცვის ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა.

შედარებით - სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით გამოვავლინეთ უფლების დაცვის კონკრეტულ საშუალებებთან დაკავშირებული არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეები. შევადარეთ ქართული და უცხოური სამართლებრივი სისტემები აღნიშნული თვალსაზრისით. პარალელები გავავლეთ ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი სისტემების ძირითად თავისებურებებთან დაკავშირებით და სხვ.

ლოგიკური ანალიზის მეთოდით ვეცადეთ გამოგვევლინა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, წარმოგვეჩინა სხვადასხვა პრობლემის გამომწვევი მიზეზები, განგვესაზღვრა მათი აღმოფხვრის გზები.

კვლევაზე მუშაობის პერიოდში უშუალოდ გავეცანი პრაქტიკას და საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მივიღე არსებული პრობლემების გადაჭრის გამოცდილება, რაც უფლების დაცვის ინსტიტუტთან არის დაკავშირებული. ასევე შევისწავლე სასამართლო პრაქტიკა. ყოველივე ამან მომცა საშუალება ნათლად დამენახა პრაქტიკაში არსებული ხარვეზები. მოსამართლეებთან ინტერვიუს გზით, შესაძლებლობა მომეცა გამომეკვთა სამართლის შეფარდების პროცესში არსებული პრობლემები, რომლებიც განპირობებულია კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით.

კვლევის შედეგები:

1. კვლევის შედეგად გამოვლინდა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ასპექტების ერთიანობა, რომლებიც გავლენას ახდენს სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საკითხზე ;
2. გამოიკვეთა საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები, რომელთა შესაბამისადაც შემუშავდა კონკრეტული წინადადებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის მიზნით, რაც კვლევის სიახლეა და ამავე დროს მას პრაქტიკულ მნიშვნელობას სძენს;
3. საერთო სასამართლოების, საერთაშორისო პრაქტიკისა და დოქტრინის შესწავლის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია უფლებრივ ჭრილში მხარეთა თანასწორობის საკანონმდებლო წესით ხელშეწყობისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე:

1. დისერტაციის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ მასში გადმოცემულია ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებათა და ინტერესთა დაცვის ფორმების, საშუალებებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის კომპლექსური კვლევა. ასევე გამოიჯნულია ერთმანეთისაგან კატეგორიები: „უფლების დაცვის ფორმა“ და „უფლების დაცვის საშუალება“. ზემოაღნიშნული კატეგორიები, კვლევაში ზოგადთეორიულ საფეხურზე კომპლექსურად არის განხილული, როგორც ერთიანი, მრავალ ასპექტიანი და პოლისტრუქტურული სამართლებრივი მოვლენები. როგორც წესი, საერთო სამართლებრივი მიდგომის არარსებობა პრობლემასთან მიმართებაში, აფერხებს უფლების დაცვის მექანიზმის სიღრმისეულ დონეზე კვლევასა და განვითარებას;
2. კვლევის ფარგლებში შესწავლილია უფლების დაცვის ფორმები, დაცვის საშუალებები. ძირითადი თეორიული პრობლემები

განხილულია სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისად. ამ საკითხზე მსჯელობისას ჩამოყალიბებული უფლებათა დაცვის საშუალებების სრულყოფა, წარმოადგენს იმ აუცილებელ პირობას, რომლის გარეშე უფლების სათანადო განხორციელება შეუძლებელია ;

3. სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა უფლებების დაცვის საშუალებები საჭიროებს გაფართოებას. ამ მხრივ ნაშრომის სიახლე მდგომარეობს უფლების დაცვის არსებული საშუალებების ახლებურ და მეცნიერულ გააზრებაში, რომელიც ხშირ შემთხვევაში უპირისპირდება დღემდე ჩამოყალიბებულ ხედვებსა და მიდგომებს და უზრუნველყოფს პირთა უფლებების დაცვას სამართლიანობისა და თანასწორობის საფუძველზე. ასევე უფლების დაცვის არსებული საშუალებების შინაარსის შეცვლაში, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სოციალურად ორიენტირებული კანონმდებლობის არსებობას, სუსტ მდგომარეობაში მყოფი მოვალეების საკუთრებითი უფლებების დაცვას, მათ მიმართ თანაზომადი მოქმედებების განხორციელებას და არათანაზომადი და დაუშვებელი ღონისძიებების გამოყენების აკრძალვას, სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტირებულად განხორციელებას;

4. უცხო ქვეყნების კანონმდებლობებისა და ნორმატიული აქტების შესწავლის საფუძველზე წარმოდგენილი და დასაბუთებულია შესაბამისი რეკომენდაციები მხარეთა უფლებრივი თანასწორობისათვის დაცვის საშუალებებთან მიმართებაში.

დასკვნა

სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა უფლებების დაცვის არსიდან გამომდინარე, არსებულ საკითხთა კვლევის შედეგად, შეიძლება ჩამოვყალიბოთ ძირითადი თეზისები და დასკვნები, არსებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოსასწორებლად კი - შესაბამისი რეკომენდაციები. სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარეების მიერ გამოსაყენებელი უფლების დაცვის საშუალებებს სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა ნორმა შეიცავს. უფლებათა და კანონიერ ინტერესთა არსებობა თავის თავში მოიცავს დაცვის ყველა ელემენტის ერთიანობას, ასევე პირის დარღვეული, თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვისას, ყველაზე უფრო ეფექტური შედეგის მისაღწევად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ მისი გამოყენების საშუალებებს.

სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვა ხორციელდება ორი ფორმით: სასამართლო და არასამართლო წესით უფლების დაცვის ფორმით. უფლების დაცვის ამა თუ იმ ფორმის არჩევა დამოკიდებულია არა მარტო მხარის ნებაზე, არამედ კანონის ნორმატიულ ნებაზეც.

სამოქალაქო ბრუნვის ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია უფლების დაცვა. უფლების მქონე სუბიექტი აღჭურვილია უფლების დაცვის უფლებამოსილებით კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი მექანიზმების გამოყენების საშუალებით. სადავო ან დარღვეული უფლების დაცვა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე. კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ რომელი უფლების დაცვა ხდება და რა ხასიათის დარღვევაა სახეზე. პირველ რიგში, უფლება რა ხარისხით უნდა იქნეს დაცული (უფლების დაცვის შინაარსი) ძირითადად განისაზღვრება თავად ამ უფლების იურიდიული ბუნებით.

სამოქალაქო ბრუნვის თითოეული მონაწილის უფლებაა ის, თუ კანონით გათვალისწინებული დაცვის რომელი საშუალება გამოიყენოს ეფექტიანი შედეგის მისაღწევად. მართებულად

ადინიშნება, რომ უფლება და მოთხოვნა არ არის იდენტური ცნებები, თუმცადა უფლების საფუძველზე წარმოიშობა მოთხოვნა. უფლება უფრო ფართო ცნებაა და მოთხოვნასაც მოიცავს. დაცვის საშუალებები განკუთვნილია სამოქალაქო უფლებათა განსაზღვრული სახეების უზრუნველსაყოფად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს უფლების დაცვის საშუალებათა ჩამონათვალს, რაც კანონმდებლის სწორი მიდგომაა თუნდაც იმიტომ, რომ უფლების დაცვის საშუალებები იცვლებიან დროთა განმავლობაში, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების კვალდაკვალ და არ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ მოცემულად ჩაითვალოს რომელიმე მათგანი. სახელშეკრულებო ურთიერთობებში სხვადასხვა ტიპის სამართალურთიერთობების დროს მრავალი დაცვის საშუალება შეიძლება იქნეს გამოყენებული, რომელთა უნივერსალურობაც და ეფექტიანობაც მხარის არჩევანზეა დამოკიდებული.

უფლებათა დაცვის საშუალებათა კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით: გამოყენების სფეროს შესაბამისად (უნივერსალური და სპეციალური), განხორციელების მეთოდების მიხედვით (სასამართლოში სარჩელის შეტანით, სახელმწიფო ორგანოებისათვის მიმართვით, თვითდაცვით) და ა.შ. თუმცა ლიტერატურაში შედარებით პრაქტიკული მნიშვნელობის კრიტერიუმად მიიჩნევენ უფლებათა დაცვის საშუალებათა კლასიფიკაციას შედეგის მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რაზეა გათვლილი ამ საშუალების გამოყენება. მითითებული კრიტერიუმი ერთდროულად შეიძლება ემსახურებოდეს ძირითად კრიტერიუმებს, კრედიტორის მიერ არჩეული შესაბამისი საშუალების გამოყენებისას. სწორედ ამაში გამოიხატება მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

უფლების დაცვის თითოეული საშუალება შეიძლება გამოყენებულ იქნეს განსაზღვრული პროცესუალური წესით. ასეთ მოწესრიგებას ეწოდება უფლების დაცვის ფორმა. კონკრეტული უფლების დაცვის გამოყენების წესი დამოკიდებულია დასაცავი უფლების

შინაარსზე, ასევე დარღვევის ხასიათზე. კანონით დადგენილი დაცვის საშუალებები მხოლოდ კონკრეტულ უფლებათა დარღვევისას გამოყენება. ასეთ შემთხვევაში საუბარია დაცვის სპეციალურ საშუალებებზე.

მხარეთა სახელშეკრულებო უფლებათა დაცვის პრობლემატიკის განხილვა ნაშრომში მოხდა კრედიტორისა და მოვალის უფლებათა ანალიზის საფუძველზე. კრედიტორის მდგომარეობის რეგულაციასთან დაკავშირებით კრიტიკას იმსახურებს სამოქალაქო კოდექსის ზოგიერთი დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2013 წლის ცვლილებამდე არსებული რეგულაცია იმთავითვე უსამართლო მდგომარეობას ითვალისწინებდა, რაც გულისხმობდა კრედიტორის მაქსიმალურ თავისუფლებას პროცენტის ოდენობის განსაზღვრის საკითში. ასეთი ფორმულირებით სესხის დროს პროცენტის რეგულირება არსებითად შეცდომას წარმოადგენდა და სუსტი მხარის დაუცველობას ითვალისწინებდა. ამასთან, არც 2013 წელს შესული ცვლილებები არ შეიძლება ცალსახად დადებითად შეფასდეს მოვალის მდგომარეობასთან მიმართებაში. კერძოდ, მართალია აღდგა, ფაქტობრივად, 2007 წლამდე არსებული რედაქცია და სესხის პროცენტის გონივრულობის კრიტერიუმს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ზღვრული ოდენობა წარმოადგენს, მაგრამ ამჟამად მოქმედი რედაქციით, ასეთი ტიპის მოთხოვნა არ ვრცელდება კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების - საკრედიტო კავშირების და კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებულ სესხის ხელშეკრულებებზე, რაც თვალნათელს ხდის სახელშეკრულებო ურთიერთობაში საბანკო დაწესებულებების პრიორიტეტს, როდესაც ამ ასპექტში საჭიროა მოვალეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, უფრო მეტიც, სადაც საუბარია სასესხო (საკრედიტო) ურთიერთობებში სტანდარტული პირობების გამოყენებაზე, მეტი დაცვის საშუალება უნდა არსებობდეს. ახალი რეგულაციით, ერთი მხრივ, დადებითად უნდა

შეფასდეს კრედიტორსა და მოვალეს შორის პროცენტის დადგენილი ოდენობით განსაზღვრის მოთხოვნა, თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნული რეგულაცია არ შეეხო საბანკო დაწესებულებებს. რაც მოვალეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის კუთხით - უსამართლოა და ეწინააღმდეგება სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ თანასწორობის პრინციპს.

ახალმა ცვლილებებმა, სამწუხაროდ, ბიძგი მისცა საკმაოდ საშიშ ტენდენციას და არასწორ პრაქტიკას, რაც, ამ შემთხვევაში, კრედიტორთა უფლებებს აზიანებს. კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ შეიზღუდა სესხის იპოთეკით უზრუნველყოფის შესაძლებლობა სანოტარო პრაქტიკაში ფეხი მოიკიდა გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის გზით სესხის უზრუნველყოფის შემთხვევებმა.

ამგვარი პრაქტიკის საფრთხე იმაში მდგომარეობს კრედიტორისათვის, რომ ამით მხარეებს შორის ფორმდება თვალთმაქცური გარიგება რომელიც ბათილია და რომლითაც იფარება ამ მხარეთ შორის რეალურად არსებული ანუ, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება;

სკ-ის 56-ე მუხლს შესაბამისად, თვალთმაქცური გარიგებს ბათილობისას გამოიყენება დაფარული გარიგების წესები. თუმცა, რადგან დაფარულ გარიგებას ვერ განახორციელებდნენ მხარეები და სწორედ იმიტომ დადეს თვალთმაქცური გარიგება, შესაბამისად, ვერც დაფარული გარიგების წესებს ვერ გამოვიყენებთ. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, თვალთმაქცური გარიგების მიმართ დაფარული გარიგების წესების გამოყენება, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაფარული გარიგება ნამდვილია. აქედან გამომდინარე, კრედიტორი რჩება უზრუნველყოფის გარეშე. ვგულისხმობ სანივთო უზრუნველყოფას, თორემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნის წამოყენებას მას არავინ უკრძალავს. შესაბამისად, არსებული რეგულაციები, რომლებიც მცდარი პრაქტიკის განვითარებას დაედო საფუძვლად კორექტირებას მოითხოვს.

თუ 2007 წლიდან დღემდე საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილ ცვლილებებსა და დამატებებს გავანალიზებთ და შევაფასებთ კრედიტორისა და მოვალის ინტერესების თანასწორობისა და დაბალანსების თვალსაზრისით, აშკარა გახდება, რომ ეს საკანონმდებლო ნოვაციები ძირითადად კრედიტორის ინტერესების, ასევე საფინანსო ინსტიტუტების ინტერესების დაცვას ემსახურებოდა და თითქმის არ იყო გათვალისწინებული მოვალეთა უფლებები, ინტერესები და რეალური ნება.

მოვალის უფლებების დაცვის კუთხით ცალკე უნდა გამოიყოს 412-ე მუხლი. იგი უშუალოდ გამოხატავს მოვალის ინტერესებს და ათავისუფლებს მას ისეთი რისკისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეული პრინციპებისათვის. ამიტომაც, აღნიშნული მუხლი, უპირველესად ადგენს, რომ ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. ნორმის ხარვეზი გამოსწორდება თუ შინაარსში სიტყვა მოქმედება შეიცვლება სიტყვა ქმედებით, რომელიც გულისხმობს როგორც მოქმედებას, ისე უმოქმედობას. სკ-ის 412-ე მუხლი უმჯობესი იქნება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევის ქმედების უშუალო შედეგს.“

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. უფლების კეთილსინდისიერად განხორციელება თავის თავში მოიცავს სამართალსუბიექტის მიერ ნების გამოვლენისას წინდახედულობის ელემენტარული სტანდარტის გათვალისწინებას, რათა მის მიერ წინდაუხედავად გამოვლენილი ნებით დაუშვებლად არ იქნეს ხელყოფილი სხვათა უფლებები. ნებისმიერ შემთხვევაში, არცერთი მხარისათვის - იქნება ეს მოვალე თუ კრედიტორი. ვალდებულების შესრულებისას ამოსავალი არ უნდა იყოს მხოლოდ საკუთარი ინტერესები და თითოეული მხარე მთავარი ვა-

ლდებულების გარდა, კეთილსინდისიერების პრინციპით ნაგულისხმევ დამატებით ვალდებულებებსაც უნდა ასრულებდეს. მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერებისა და უფლების ბოროტად გამოყენების კატეგორიების ურთიერთმიმართება. უფლების ბოროტად გამოყენება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს. მართალია, ნორმათა უმრავლესობა მასზე პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ მაინც მას ემყარება, ვინაიდან, სამოქალაქო მართლწესრიგი სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული. კეთილსინდისიერი ქცევა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ერთმანეთის უფლებებისადმი გულისხმიერებითა და პატივისცემით მოქმედებას გულისხმობს. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს. ხელშეკრულება არა მარტო უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, არამედ უნდა დაიდოს კიდევ მოცემული პრინციპის შესაბამისად. სამოქალაქო სამართალურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების ამოსავალი წერტილია ბუნებითი სამართლიანობის აღდგენა, შესაბამისად, სამოქალაქო სამართალბრუნვაში ქცევის სტანდარტის განმსაზღვრელია სამართლიანობა, კეთილსინდისიერება და ზნეობრიობა. ყველა ადამიანი სამოქალაქო უფლება-მოვალეობების მატარებელია. თითოეული პირი ვალდებულია, თავისი უფლება განახორციელოს იმგვარად, რომ დაუშვებლად არ ხელყოს სხვისი უფლება.

უფლების დაცვის საშუალებას წარმოადგენს უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა. დაცვის აღნიშნული საშუალება, როგორც დამოუკიდებელი მექანიზმი, გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც უფლების დარღვევას გრძელვადიანი ხასიათი გააჩნია. უფლების დაცვის ამ საშუალების გამოყენებით შეიძლება აღდგეს დარღვევამდე არსებული მდგომარეობა.

მხარეთა დაცვის უფლებას წარმოადგენს მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება. ხშირად აღნიშნული ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც რეალური შესრულება, როგორც დამოუკიდებელი დაცვის საშუალება. იგი ხასიათდება იმით, რომ დამრღვევი, დაზარალებულის მოთხოვნით, ვალდებულია რეალურად შეასრულოს მოქმედება, რომელიც მას ნაკისრი ჰქონდა ვალდებულების სახით, მხარეთა შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე. ვალდებულების ნატურით შესრულება, ფულადი კომპენსაციის, საპირისპიროს წარმოადგენს.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში დაცვის საშუალებას განეკუთვნება სამართალურთიერთობის შეცვლა ან შეწყვეტა, რომელიც თავის თავში გულისხმობს ხელშეკრულებიდან გასვლას, ხელშეკრულების მოშლასა და ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აგებულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებას ყოველთვის ახლავს ვალდებულების შესაძლო დარღვევის რისკი. ხელშეკრულებიდან გასვლისა და მოშლის შემთხვევაში ხდება ხელშეკრულების შეწყვეტა. მათ შორის განსხვავებას კი განაპირობებს მხოლოდ სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, გასვლის შემთხვევაში დგება რესტიტუციის საკითხი, ხოლო მოშლისას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის გარეშე წყდება სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება წინაპირობებს, ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა ყოველთვის არის ვალდებულების არსებითი დარღვევა. ხელშეკრულების მოშლისათვის ყველა შემთხვევაში არ არის აუცილებელი ხელშეკრულების დარღვევის არსებობა, პატივსადები საფუძველი ხშირად არ არის დაკავშირებული ვალდებულების დარღვევასთან.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების გამოყენება დასაშვებია თუ შეცვლილმა გარემოებებმა უნდა გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების უკიდურესი დამძიმება. გარემოება აშკარად უნდა შეიცვალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ; გარემოებების შეცვლის გონივრულად გათვალისწინება

ხელშეკრულების დადების დროს შესაძლებელი არ უნდა იყოს, ანუ შეცვლილი გარემოებები არ უნდა შედიოდეს დაზარალებული მხარის კონტროლის სფეროში. ხელშეკრულებით არ უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოებების შეცვლის რისკის დაზარალებული მხარისათვის დაკისრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო პირობა მოქმედებს და 398-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია. ხელშეკრულების შესრულების გართულება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ აშკარად შეცვლილ გარემოებათა გამო, ანუ არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში ყველაზე გავრცელებულ დაცვის საშუალებას წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (სკ-ს 394-ე მუხლი), რაც თავის თავში მოიცავს უფლებას მოითხოვოს არა მხოლოდ ზიანის ანაზღაურება (სკ-ს 394-ე მუხლი). ზიანის ანაზღაურების საკითხთან მიმართებით როგორც კონტინენტური ევროპის, ისე ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნები ადგენენ საერთო ზოგად პრინციპებს: ფულადი ანაზღაურების მიზანია დაზარალებული მხარის ქონებრივი დანაკარგების კომპენსაცია. კრედიტორი არ უნდა დაზარალდეს მატერიალურად მოვალის მიერ თავისი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში. მოვალის მხრიდან ზიანის ანაზღაურებამ უნდა გამოიწვიოს კრედიტორის უფლებათა აღდგენა იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა, თუკი მოვალე ვადებულებას ჯეროვნად შეასრულებდა.

ხელშეკრულების ბათილობა, როგორც დარღვეულ უფლებათა დაცვის საშუალება, აქტიურად გამოიყენება სახელშეკრულებო ურთიერთობებში. სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ არც ისე იშვიათად დაცვის აღნიშნული საშუალება გამოიყენება არაკეთილსინდისიერი მოვალეების მხრიდან, რათა თავი აარიდონ ვალდებულების შეუსრულებლობის თუ არაჯეროვანი შესრულების გამო მათთვის არასასურველ შედეგებს. ბათილი გარიგებები თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა,

რომლის მიზეზიც თავად მისი როლია საზოგადოებრივ ურთიერთობებში. ხელშეკრულებათა ბათილობა განაპირობებს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შემცირებასა და ეკონომიკური კავშირების სანდოობის რღვევას, ვინაიდან ბათილ გარიგებას არ შესწევს უნარი წარმოშვას ის იურიდიული შედეგები, რასაც მხარეები ხელშეკრულების დადებისას ითვალისწინებდნენ. მხარის მოთხოვნა გარიგების ბათილობის თაობაზე განაპირობებს გარიგების საფუძველზე განხორციელებულ მოქმედებათა ბათილობას. გარიგების ბათილობის მოთხოვნისა და მისი თანმდევი შედეგების გამოყენება არაკეთილსინდისიერი მხარის მხრიდან, გამოიყენება როგორც დაცვის საშუალება, რომელიც მას არაკეთილსინდისიერ მხარედ აქცევს, რომელიც ცდილობს თავი აარიდოს კანონით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. სამოქალაქო სამართალი ხელშეკრულების მხარეებს ანიჭებს იმ უარყოფითი შედეგებისაგან დაცვის უფლებას, რომელიც შეიძლება გარიგების მთლიანად ბათილობას მოჰყვეს, აღნიშნულს ითვალისწინებს სსკ-ის მე-60 მუხლი. იმისათვის, რომ კონვენსია განხორციელდეს, უნდა არსებობდეს განსაზღვრული წინაპირობები. არსებითად ესაა ბათილი გარიგების „ნამდვილ გარიგებად განმარტება“. სხვა გარიგება მხოლოდ მაშინაა ძალის მქონე, თუკი თავდაპირველი გარიგების ბათილობის შეტყობისას, მხარეები მოისურვებენ მის ნამდვილობას. მიგვაჩნია, რომ პირთა ინტერესების დაცვის მიზნით და, ზოგადად, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის მიზანშეწონილი არ იქნებოდა შეგვეზღუდა საკუთრების უფლების დაცვის ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორიცაა გარიგების ბათილად ცნობა და მისი შედეგების გამოყენება შემდგომ ურთიერთობებთან დაკავშირებით, ანუ იმ გარიგებებთან დაკავშირებით, სადაც უკვე სხვა პირთა ქონებაზეა საუბარი.

მიზანშეწონილია, სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის შეცვლა. აღნიშნული ნორმა ქმნის დისბალანსს მხარეთა ურთიერთობაში. მართალია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან

გამომდინარე, მხარე თვითონ წყვეტს, დადოს თუ არა მსგავსი ხელშეკრულება, მაგრამ ისეთ შემთხვევებში, როდესაც სუბიექტს სჭირდება სესხის აღება, იგი ხშირად იძულებულია დათანხმდეს კრედიტორის მიერ შემოთავაზებულ პირობებს, კრედიტორები კი სარგებლობენ მოვალეთა მდგომარეობით და ხელშეკრულების უსამართლო პირობებს სთავაზობენ მათ. ასეთ ფონზე 301-ე მუხლი კრედიტორთა მხრიდან უსამართლობის გამოჩენას უწყობს ხელს.

301-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნა რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარვად, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რა არ არის დადგენილი. ამ ნორმაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სიტყვები „თუ კანონით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. გამოდის, რომ თუ იპოთეკის საგანი არ ეყოფა მოთხოვნის დაფარვას, კრედიტორს ხელი მიუწვდება მოვალის სხვა ქონებაზეც. მართალია, ნორმის თანახმად კრედიტორის ეს უფლება მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი შეთანხმებები ფორმალურ ხასიათს ატარებს და ძირითადად მხოლოდ კრედიტორის მოთხოვნით იდება. შესაბამისად, აღნიშნული ნორმა უსამართლოა, ვინაიდან მხოლოდ უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაფარვაზეა ორიენტირებული. უმეტეს შემთხვევაში იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალური ფასი ბევრად აჭარბებს სესხის ღირებულებას. ვფიქრობ, ამით დარღვეულია მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რადგან აღნიშნული ნორმის საფუძველზე კრედიტორი ისედაც არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფ მოვალეს, უფრო გაუსაძლის მდგომარეობაში აგდებს. გამოდის, რომ კანონმდებელი ზრუნავს მარტოოდენ კრედიტორის მოთხოვნაზე და პრიორიტეტს მას ანიჭებს, თუნდაც ასეთი მოთხოვნა რამდენჯერმე დაბალი იყოს იპოთეკის საგნის ღირებულებაზე. ამიტომ ნებისმიერ შემთხვევაში

იპოთეკის საგნის რეალიზაციისას კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად უნდა ითვლებოდეს.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც ყურადღება გამახვილდა რამდენად შესაძლებელი იყო იპოთეკის დროს თანხის ნაკლებობის შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აღსრულების მიქცევა მოვალის სხვა ქონებაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღნიშნულის თაობაზე არ ითვალისწინებს მკაფიო დათქმას. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თავდაპირველი რედაქციით მოგირავნე (იპოთეკარი) არ იყო შეზღუდული მხოლოდ გირავნობის (იპოთეკის) საგნის რეალიზაციით. აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ დროს მოქმედი 272-ე მუხლის პირველი ნაწილიდან. თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ 2007 წლის 29 ივნისის №5127 კანონით განხორციელებული ცვლილებებით არსებითად შეიცვალა გირავნობისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციისა და მოგირავნის (იპოთეკარის) მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამჟამად მოქმედი 254-ე მუხლის თანახმად, კრედიტორი იძენს უფლებას დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით-მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ხოლო იმავე კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უზრუნველყოფილ კრედიტორს უფლება აქვს, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა), რაც ამომწურავად განსაზღვრავს იპოთეკით უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილების საშუალებით ნივთის რეალიზაციით ან ამ ნივთის საკუთრებაში გადაცემით. აღნიშნულის შესაბამისად,

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილის ახალი რედაქციით პირდაპირ დადგინდა ზოგადი წესი, რომლითაც, გირავნობის საგნის რეალიზაციისას, მიუხედავად იმისა, ამონაგები თანხა ფარავს თუ არა უზრუნველყოფილ მოთხოვნას, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მსგავს დათქმას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილი, ამ მუხლის თანახმად, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლისას, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები ნამეტი თანხა მესაკუთრეს უნდა დაუბრუნდეს; გაუმართლებელია, დავსაჯოთ მოვალე საბაზრო ფასზე დაბალ ფასში უძრავი ნივთის რეალიზაციით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2007 წლის 29 ივნისის განხორციელებული ცვლილებებით შემოთავაზებული წესები სწორედ ამ ტენდენციას პასუხობს. უზრუნველყოფის სანივთო უფლების(იპოთეკის) დადგენისას მხარეები იმთავითვე ითვალისწინებენ საგნის ღირებულებას, ამიტომ, როგორც წესი, იპოთეკის საგნის ღირებულება რამდენჯერმე აღემატება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობას. ამ შემთხვევაში წინდაწინ იქმნება იმის ვარაუდი, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაცია სწორედ მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებაა. იგი ხელს უწყობს კრედიტორს, წინასწარ შეაფასოს, რამდენად უზრუნველყოფს იპოთეკის საგანი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. ამ პირობებში ნათელია, თუ სად გადის მოვალის პასუხისმგებლობის ზღვარი. იგი ხელს უწყობს მოვალის ინიციატივას, აქტიურად გამოიყენოს იპოთეკა, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება. ამასთან, უცვლელი რჩება იმ მესაკუთრის სამართლებრივი სტატუსი, ვინც არ არის იპოთეკარის პირადი მოვალე. აქვე

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნორმებს შემოაქვს სახელშეკრულებო თავისუფლების ელემენტები სანივთო სამართალში, აძლევს რა მხარეებს შესაძლებლობას, წინასწარ შეთანხმდნენ სტანდარტულ წესზე, კერძოდ იმაზე, რომ რეალიზაციიდან ამონაგები თანხის ნაკლებობისას მოთხოვნის უფლება არ გაუქმდება. ბუნებრივია, კანონისგან განსხვავებული შეთანხმების მიღწევა დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე, რაც მოქნილს ხდის იპოთეკური კრედიტის პირობებს. ამ შემთხვევაში განსხვავებული იქნება რეალიზაციისა და სააღსრულებო მოქმედებების თანმიმდევრობა. სხვა ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა იპოთეკის საგნის რეალიზაცია დასრულდება. იპოთეკის საგნის რეალიზაციისას კრედიტორის უფლებების განხორციელებასთან ერთად უნდა შესრულდეს გარკვეული დამცავი დებულებები მოვალის სასარგებლოდაც. მითუმეტეს, რომ ბოლო წლებში მოვალის მიმართ გამკაცრდა, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მთელი რიგი დებულებები, ისე – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები; ახლებურად ჩამოყალიბდა 301-ე, 304-ე და 309-ე მუხლები, გამოირიცხა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა აუქციონის არაჯეროვნად ჩატარების გამო და შეიცვალა აუქციონის წესები. ამ პირობებში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე და მე-300 მუხლების ახალი რედაქცია ისე ჩამოყალიბდა, რომ მასში გათვალისწინებული იქნა მოვალის დამცავი საშუალებებიც. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის ნორმები დისპოზიციურია, რაც მხარეებს შესაძლებლობას უტოვებს, შეთანხმდნენ კანონისგან განსხვავებულ სამართლებრივ შედეგზე. აღნიშნული დათქმა პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს შესაძლებლობას, მხარეები შეთანხმდნენ განსხვავებულ წესზე, რა დროსაც მოთხოვნა არ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად და კრედიტორი კვლავაც იქნება უფლებამოსილი, მოითხოვოს სხვაობა ამონაგებ თანხასა და მოთხოვნის ოდენობას შორის, მოვალის სხვა ქონებაზე აღსრულების

მიქცევით. შედარებისათვის მართალია, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ იპოთეკარი უფლებამოსილია საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხის მიღმა ეძიოს მოთხოვნის დაკმაყოფილება, მაგრამ ქვეყნების გარკვეული ნაწილის კანონმდებლობით, იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხით უქმდება კრედიტორის მოთხოვნაც თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გაუქმებას მოითხოვს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის ინსტიტუტი, რომლის საფუძველზეც კრედიტორს შესაძლებლობა ეძლევა სასამართლოს გარეშე დაიწყოს აღსრულება მოვალის მიმართ. ეს დანაწესი მრავალ უხერხულობს ქმნის მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი სასამართლოს უფლებას აძლევს შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო და ამით ხელი შეუშალოს კრედიტორს მოვალის ხარჯზე მეტისმეტად გამდიდრებაში. ასეთი ფუნქცია კი ნოტარიუსს არ გააჩნია, იგი საერთოდ არაა უფლებამოსილი გადასინჯოს მხარეთა შორის დადგენილი პირგასამტეხლოს სამართლიანობის საკითხი. იგი არც იმას არკვევს, რეალურად შესრულდა თუ არა მოვალის მიერ ვალდებულება და სხვა. ე.ი. კრედიტორის მომართვის შემთხვევაში მოვალისაგან შესაბამისი ინფორმაციის მიღების გარეშე გაცემს ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცელს. ეს კი ხელს უშლის გადახდეს მოვალეს სამართლიანი თანხა ან დაცული იქნეს მოვალის უფლებები მაშინ, როცა მას გადახდილი აქვს ვალი. ასეთ დროს მოვალე იძულებულია იდავოს სასამართლოში, თუმცა ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის თანახმად გასაჩივრება არ აჩერებს სააღსრულებო ფურცლის არასწორ მოქმედებას, რაც ვფიქრობ არასწორია. მართალია, სარჩელის უზრუნველყოფის წესით, სასამართლოს შეუძლია აღსრულების შეჩერება, მაგრამ აღნიშნულზე დავა მოვალეს მძიმე მდგომარეობაში აყენებს და შესაბამისად ეწინააღმდეგება სამართლიანობის მოთხოვნას.

მიზანშეწონილია სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის შეცვლა. კერძოდ, მხარეთა შორის ფულადი ვალდებულების დროს,

პროცენტის ოდენობა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დგინდებოდეს, მაგრამ აუცილებელია ამ ნორმით განისაზღვროს წესი, რომლის თანახმადაც პროცენტის ოდენობა უნდა დადგინდეს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ პროცენტთან გონივრულ შესაბამისობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში არაგონივრულ ნაწილში პროცენტის შესახებ შეთანხმება უნდა ჩაითვალოს ბათილად, საქმე იმაშია, რომ ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი მოვალე ხშირად იძულებულია დათანხმდეს კრედიტორის მიერ შემოთავაზებულ უსამართლოდ მაღალი პროცენტის ოდენობას.

მიზანშეწონილია, საპროცესო მექანიზმების მოქცევაც სამართლიანობის ფარგლებში მოხდეს. კერძოდ, უნდა შეიცვალოს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 70-ე მუხლი, რომლის თანახმადაც აღსრულება არ შეჩერდება თუ დანიშნულია აუქციონი. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული ნორმა პრაქტიკაში ხშირად გამხდარა გაუგებრობისა და მოვალის უფლებათა უკანონოდ შელახვის წყარო. გარდა ამისა, კრედიტორსა და მოვალეს უნდა მიეცეს მეტი თავისუფლება გამოხატონ დისპოზიციური უფლებები და გავლენა მოახდინონ აღსრულების პროცესზე, მითუმეტეს მაშინ, როცა კრედიტორიც ითხოვს აღსრულების შეჩერებას ან გადადებას.

მიზანშეწონილია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონში შეიქმნას მხარეთა მორიგების ეფექტური მექანიზმები. სააღსრულებო წარმოებათა კანონისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციის მიხედვით, მართალია კრედიტორსა და მოვალეს შეუძლიათ აღსრულების სტადიაზე მორიგდნენ, მაგრამ ჩვეულებრივი სამოქალაქო პროცესისგან განსხვავებით, სადაც მორიგების დროს, იმისდა მიხედვით, ეს ხდება საქმის მომზადებისა თუ მთავარ სხდომაზე, სახელმწიფო ბაჟი ან მთლიანად უბრუნდება მხარეს, ან ნახევრდება ბაჟის ოდენობა, ხოლო აღსრულების ეტაპზე საერთოდ არ არის გათვალისწინებული აღსრულების საფასურის დაბრუნება კრედიტორისათვის. ეს არ აძლევს კრედიტორს სტი-

მუღს მოურიგდეს მოვალეს. ყოველ შემთხვევაში, ნებისმიერი კრედიტორი მოითხოვს მორიგების თანხის გაზრდას აღსრულების საფასურის თანხით, რაც მძიმე ტვირთად დააწვება ისევ მოვალეს.

